



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური

„სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

სსიპ- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
7–8 აპრილი 2021 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი
01 ივნისი 2021 წელი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211349192
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია Industrial engineering and technology
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიის ბაკალავრი Bachelor of Industrial engineering and technology
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0719 ინჟინერია და საინჟინრო საქმე – არაკლასიფიცირებული
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	–
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240 კრედიტი
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული N424, 24.09.2012

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქეთევან კინწურაშვილი-სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მაია გრძელიძე- სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სოფიკო შარაბიძე-სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე 2012 წლამდე ხორციელდებოდა მრეწველობის დარგის სხვადასხვა მიმართულების შემდეგი პროგრამები: პოლიგრაფიული საგამომცემლო სისტემები; ხის დამუშავების ტექნოლოგია და სატყეო საინჟინრო საქმე; მსუბუქი მრეწველობის ნაწარმთა მოდელირება და ტექნოლოგია; სამაცივრო ტექნიკა და ტექნოლოგია. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბერის ბრძანება №120/ნ-ით დამტკიცებულ ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში აისახა 0409 კოდით დარგი/სპეციალობა - „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“. აღნიშნულის საფუძველზე პროგრამების განმახორციელებელ დეპარტამენტებს მიეცათ შესაძლებლობა შემუშავებინათ „სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამა, რადგან, მიუხედავად მასში გაერთიანებული მრეწველობის სხვადასხვა დარგებისა, ზემოაღნიშნული პროგრამების მიხედვით საჭირო ცოდნისა და უნარების უდიდესი ნაწილი თანხვედრაში იყო ერთმანეთთან.

2013 წელს პროგრამამ განიცადა მოდიფიცირება. კერძოდ, სასწავლო პროგრამას თავისუფალი კომპონენტების სახით დაემატა 3 ახალი სასწავლო კურსი. ასევე, პროგრამაში არსებული სასწავლო პრაქტიკა შეიცვალა საწარმოო პრაქტიკით, რის საფუძველზე გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება. 2014 წელს პროგრამამ კვლავ განიცადა მოდიფიცირება. კერძოდ, სასწავლო კურსში „გამოყენებითი მექანიკა“ მოხდა საკონტაქტო საათების გადანაწილება სწავლების კომპონენტების მიხედვით. 2015 წელს განხორციელებული მოდიფიცირების შედეგად 4 და მეტ კრედიტიან სასწავლო კურსებს შეეცვალათ საკონტაქტო საათები, რის ხარჯზეც გაიზარდა დამოუკიდებელი მუშაობისთვის განკუთვნილი საათების რაოდენობა. ყველა ეს ცვლილება განხორციელდა პროგრამის სწავლის ეფექტური და ოპტიმალური შედეგების მიღწევის მიზნით.

2016 წელს განხორციელდა სილაბუსების მოდიფიცირება, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილების მიხედვით პროგრამების მოდიფიცირებასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. განხორციელებული ცვლილება სტუდენტის სწავლის შედეგებზე დადებითად აისახება.

2017-2018 წლებში განხორციელებული მოდიფიცირების მიზანი იყო შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების დაზუსტება და შესაბამისობის უზრუნველყოფა; სამრეწველო ინჟინერიასა და ტექნოლოგიაში არსებულ საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა; სწავლის შედეგების შეფასების ანალიზის შედეგების გამოყენება საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით. პროგრამას შეეცვალა სფერო, ხოლო მისანიჭებელი კვალიფიკაცია დარჩა უცვლელი – „სამრეწველო ინჟინერიის და ტექნოლოგიის ბაკალავრი“. დამსაქმებელთა და ბაზარზე არსებული მოთხოვნიდან გამომდინარე, საგნებში მოხდა ცვლილება და პროგრამას დაემატა ახალი სასწავლო კურსები, რომელიც დაკავშირებულია სამრეწველო ინჟინერიის საწარმოთა ავტომატიზაციის, დაგეგმარებისა და ექსპლუატაცია–რემონტის საკითხებთან. ასევე, მოხდა რიგი სასწავლო კურსების დაჯგუფება და მათ მიენიჭათ არჩევითი კურსის სტატუსი. სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებისა და თანამედროვე მოთხოვნათა გათვალისწინებით, გაიზარდა უცხოური ენის სასწავლო კურსების კრედიტები და 6 კრედიტის ნაცვლად გახდა 20 კრედიტი. აგრეთვე, დამსაქმებლების მოთხოვნების გათვალისწინებით მოხდა სპეციალობის სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობის გაზრდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა აგებულია ფუნდამენტური და საერთო საკითხების სწავლებაზე დაფუძნებული იმ პრინციპით, რომლის გამოყენებით შესაძლებელია სამრეწველო საწარმოს დაგეგმვის, აღჭურვის, ექსპლუატაციის, რემონტისა და განვითარების საქმიანობა და ორიენტირებულია გარემოს უსაფრთხოების დაცვით, უახლესი ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენებით მათი ეფექტური მუშაობის მიღწევაზე.

პროგრამა სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით შეესაბამება სფეროს: 0719 ინჟინერია და საინჟინრო საქმე – არაკლასიფიცირებული, კვალიფიკაციით: სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიის ბაკალავრი. ამასთან, პროგრამა შესაბამისობაშია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისიასა და უნივერსიტეტისა და სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმასთან.

პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს. სასწავლო გეგმა შესაბამისობაშია პროგრამის მიზანთან და სრულად უზრუნველყოფს გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის მიზანია ქვეყანაში მრეწველობის პრიორიტეტულობისა და შრომის ბაზრის მოთხოვნათა გათვალისწინებით მოამზადოს სფეროში არსებული თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების მქონე სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიის ბაკალავრი – სამრეწველო ტექნოლოგიური პროცესების წარმართვისთვის, შრომის, სიცოცხლისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების პრინციპების დაცვით; სამრეწველო საწარმოების დაგეგმვასა და მონიტორინგში მონაწილეობის მიღებისთვის, ინდუსტრიული განვითარების გათვალისწინებით; ტექნოლოგიური პროცესების მანქანა-დანადგარების და მოწყობილობების ექსპლუატაციისა და რემონტის სამუშაოების შესრულებისათვის. აღნიშნულის მიზნის განხორციელება დაგეგმილია ისეთი სასწავლო გეგმით, რომლის სასწავლო კურსების მოცულობა და შინაარსი შესაბამისობაშია პროგრამის მიზნით გათვალისწინებული ყველა ასპექტის თანმიმდევრული და სრულყოფილი მიღწევის შესაძლებლობასთან და სწავლის შედეგებით განსაზღვრული კომპეტენციების მიღწევასთან.

პროგრამაზე გათვალისწინებულია ყოველწლიურად 30 სტუდენტის მიღება. პროგრამის განხორციელებისათვის გათვალისწინებული ადამიანური, მეთოდური და მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს პროგრამის შეუფერხებელ განხორციელებას.

სწავლა/სწავლების და სტუდენტთა მიღწევების შეფასების მეთოდები სრულად შეესაბამება უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის შესაბამის დებულებებს და უზრუნველყოფს სტუდენტთა შედეგების სამართლიან და გამჭვირვალედ შეფასებას.

პროგრამა „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“ 2017 წლიდან, პროგრამული დაფინანსების ფარგლებში, სახელმწიფოს მიერ სრულად ფინანსდება, რაც განაპირობებს მის ფინანსურ მდგრადობას.

ზოგადი ინფორმაცია სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ დასტურდება პროგრამის თვითშეფასების ანგარიშითა და თანდართული დოკუმენტაციით.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის შეფასებაც განხორციელდა 2021 წლის 7–8 აპრილს. ამასთან, 7 აპრილს ვიზიტი განხორციელდა ონლაინ (კომუნიკაციის ელექტრონული პლატფორმა ZOOM-ის გამოყენებით), ხოლო მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეფასება განხორციელდა 8 აპრილს დაწესებულებაში ადგილზე ვიზიტით. ინტერვიუები წარიმართა მშვიდ, კონსტრუქციულ გარემოში. წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით ჩატარდა ყველა დაგეგმილი შეხვედრა. კერძოდ, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის რექტორის მოადგილეს, სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, სტუ-ის სწავლების დეპარტამენტის უფროსს, სტუ-ის აღრიცხვა-ანგარიშგების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს, სტუ-ის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დეკანს, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, პროგრამის სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს და დამსაქმებლებს. ადგილზე მოხდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ვიზუალური დათვალიერება, გადამოწმდა ბიბლიოთეკაში პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის არსებობა, ელექტრონული ბაზების ხელმისაწვდომობა. ვიზიტის დასასრულს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა ფაკულტეტის დეკანს, ხუს-ის ხელმძღვანელსა და პროგრამის ხელმძღვანელს გააცნო პროგრამის შესახებ მოცემულ ეტაპზე ჩამოყალიბებული ძირითადი მიგნებები, რაც ადეკვატურად იქნა აღქმული მათ მიერ.

• საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“ აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით დადგინდა, რომ:

- პირველი სტანდარტის 1.1. და 1.2. კომპონენტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, შესაბამისად **პირველი სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;**
- მეორე სტანდარტის 2.1. კომპონენტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, 2.2 და 2.3 მეტწილად შესაბამისობაშია, 2.4, 2.5 და 2.6 კომპონენტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. შესაბამისად, **მეორე სტანდარტი მეტწილ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;**
- 3.1 კომპონენტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. შესაბამისად, **მესამე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;**

- 4.1, 4.2, 4.3 და 4.4 კომპონენტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. შესაბამისად, **მეოთხე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;**
- 5.1, 5.2 და 5.3 კომპონენტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, შესაბამისად, **მეხუთე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

▪ **რეკომენდაციები**

1. ა) სასწავლო კურსის „სამრეწველო მასალების კონფექციონირება“ წინაპირობად სასწავლო კურსი „ლითონთა ტექნოლოგია და მასალათმცოდნეობა“ შეიძლება იყოს ამოღებული;
- ბ) სასწავლო კურსის „საფუთავი მასალები და საწარმოო პროცესები“ – წინაპირობად შეიძლება განხილულ იქნას სასწავლო კურსი „გარემოს დაცვა და ეკოლოგია“, ნაცვლად სასწავლო კურსისა „სამრეწველო მასალების კონფექციონირება“.
2. გადაიხედოს სასწავლო კურსის სილაბუსები და რიგი სასწავლო კურსების ძირითადი ლიტერატურის ჩამონათვალს დაემატოს კურსის განხორციელებისათვის აუცილებელი ლიტერატურა. მაგ:
 - „ქართული ხალხური რეწვა“ ძირითადი ლიტერატურა მხოლოდ ნაქარგობას ეხება, როცა სილაბუსში ხალხური რეწვის სხვა მიმართულებებიცაა განხილული (ქსოვა (სხვადასხვა ტექნიკით), თელვა, ღებვა);
 - „ხელოსნური წარმოება და ტყავის დამუშავების ხალხური წესები“ – აღნიშნული საკითხები ღრმად და საინტერესოდ არის განხილული გ. ჯალაბაძის, ს. მაკალათია, ც. ბეზარაშვილის და სხვათა წიგნებში;
 - სილაბუსში „მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის ზოგადი ტექნოლოგია“ – ფეხსაცმელთან დაკავშირებული ლიტერატურა არ არის;
 - „მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის და აქსესუარების კონსტრუირების საფუძვლები – ანთროპომეტრია“ – ტყავის ნაკეთობების შესწავლისათვის აუცილებელია შესაბამისი სახელმძღვანელო, რომელიც მითითებულია სასწავლო კურსში „მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის ავტომატური დაგეგმარება“, რომელსაც თავის მხრივ უნდა დაემატოს სახელმძღვანელო „ტყავის ნაკეთობათა კონსტრუირება 2“. აღნიშნული სახელმძღვანელოები უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ბაზაში იძებნება, შესაბამისად არ არის პრობლემა მისი ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით.

▪ **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასწავლო კურსს „საინჟინრო მათემატიკა 3“ დაემატოს ალბათობის თეორისა და მათემატიკური სტატისტიკის საკითხები;
- სასწავლო კურსის „საგამოცემლო საქმე და წიგნმცოდნეობა“ შინაარსში გამოიკვეთოს თემა საავტორო უფლებების შესახებ;
- სასწავლო კურსში „ბეჭდვითი რეკლამა“ გადაიხედოს შინაარსი და მოხდეს მისი ლოგიკური თანმიმდევრობით ჩამოყალიბება;
- სასურველია სილაბუსების აღწერილობით ნაწილში მითითებული იყოს სასწავლო კურსის სტატუსი (ძირითადი/არჩევითი);
- სასურველია სტუდენტმა შექმნას და წარმოადგინოს პორტფოლიო იმ სასწავლო კურსების ათვისებისას, რომლებიც ითვალისწინებენ ისეთ პრაქტიკულ სამუშაოებს, რომლებიც ორიენტირებული არიან სტუდენტის მიერ საკუთარი ნაშრომების წარმოდგენაზე და ამ შემთხვევაში შესაბამისი ჩანაწერიც უნდა არსებობდეს სილაბუსში;

- სასურველია მხოლოდ პრაქტიკული/ლაბორატორიული კომპონენტის მქონე სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებული იყოს, რომ პორტფოლიო არის კონკრეტული კურსის საბოლოო პროდუქტი;
 - სასურველია პარტნიორ საწარმოთა რიცხვის და პროფილის გაზრდა, სტუდენტთათვის საწარმოო პრაქტიკის არეალის გაფართოებისათვის;
 - სასურველია სასწავლო კურსის „მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის და აქსესუარების მასალაში შესრულება“ კრედიტების რაოდენობის გაზრდა (5 კრედიტამდე), რათა სტუდენტებს მეტი დრო ჰქონდეთ პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენისათვის;
 - სასურველია ქვეყნის მასშტაბით სხვა უნივერსიტეტების მონათესავე დარგის პროგრამების სტუდენტებთან ერთობლივ ღონისძიებებში, კონკურსებში და გამოფენებში მონაწილეობა, გამოცდილების გაზიარებისა და თანამშრომლობითი საქმიანობის სფეროს გაფართოების მიზნით;
 - სასურველია, რომ სტუდენტები უფრო მეტად იყვნენ გარკვეული სწავლება-სწავლის მეთოდების არსში და კონკრეტული სასწავლო კურსისათვის გამოყენებული მეთოდების შესახებ ინფორმაცია მიიღონ კურსის საწყის ეტაპზე;
 - სასურველია დასკვნითი გამოცდის შეფასების მინიმალური ქულა 11-ის ნაცვლად განისაღვროს არანაკლებ მაქსიმალური ქულის მესამედით მაინც;
 - სასურველია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის საერთაშორისო აქტივობების და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობის რაოდენობრივი მაჩვენებლების ამაღლება;
 - სასურველია, გაიზარდოს აქტიურ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ინფორმირებულობა პროგრამასთან და უნივერსიტეტში განხორციელებულ პროექტებთან დაკავშირებით.
- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
- პროგრამას აქვს რეკომენდებული პროგრამის შესაბამისი თავისუფალი სასწავლო კურსების ბაზა, რომელიც სტუდენტს სთავაზობს არჩევითი საგნების ფართო სპექტრს;
 - წარმატებული პროფესიული კარიერის მქონე კურსდამთავრებულები, რომლებიც პროფილის შესაბამისად მოღვაწეობენ, ან აქვთ საკუთარი საწარმო, რომლებმაც ინტერვიუს პროცესში პროგრამა წარმოაჩინეს დადებითად;
 - სტუდენტური ნამუშევრების კატალოგი და შესრულებული მზა ნამუშევრების ან ნაკეთობათა ფრაგმენტების გამოფენა;
 - აფილირებული პერსონალის მაღალი აკადემიური სტატუსი განმახორციელებელი პერსონალის საერთო რაოდენობაში;
 - პროგრამის ხელმძღვანელის მაღალი კომპეტენცია;
 - აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შექმნილი პროფესიული განვითარების ცენტრი, სადაც პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი გადის ტრენინგებს შემდეგი მიმართულებით: კარიერის დაგეგმვა; სწავლისა და სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიები; სწავლის შედეგები და მათი შეფასება;

- სტუ-ში და ფაკულტეტებზე ფუნქციონირებადი სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოები, პროგრამებისათვის შესაბამისი სასწავლო-მეთოდური ლიტერატურით უზრუნველყოფის მიზნით.

▪ ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ექსპერტა ჯგუფის მოსაზრება დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის შესახებ

ექსპერტა ჯგუფმა გადაამოწმა უნივერსიტეტის პოზიცია ჩვენს მიერ გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულება სრულად იზიარებს ექსპერტთა რეკომენდაციებს, შესაბამისად აკრედიტაციის დასკვნაში ფორმულირებული რეკომენდაციები და რჩევები რჩება იგივე სახით.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“ მიზანია ქვეყანაში მრეწველობის პრიორიტეტულობისა და შრომის ბაზრის მოთხოვნათა გათვალისწინებით მოამზადოს სფეროში არსებული თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების მქონე სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიის ბაკალავრი: სამრეწველო ტექნოლოგიური პროცესების წარმართვისთვის, შრომის, სიცოცხლისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების პრინციპების დაცვით; სამრეწველო საწარმოების დაგეგმვასა და მონიტორინგში მონაწილეობის მიღებისთვის, ინდუსტრიული განვითარების გათვალისწინებით; ტექნოლოგიური პროცესების მანქანა-დანადგარების და მოწყობილობების ექსპლუატაციისა და რემონტის სამუშაოების შესრულებისათვის.

სამრეწველო წარმოების სფერო ქვეყნის ინდუსტრიის ყველაზე ფართო, მრავალფეროვანი და მაღალრენტაბელური დარგია, ამიტომ, მის განვითარებაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი, როგორც

ინვესტიციების მოზიდვის, ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების ორგანიზების, დასაქმების მაჩვენებლის ზრდის და ეროვნული შემოსავლების მატების წინაპირობა. შესაბამისად, ამ დარგის მოთხოვნა მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებზე, განსაკუთრებით ტექნიკისა და ტექნოლოგიების განვითარების თანამედროვე ეტაპზე, მუდმივად მზარდია.

საქართველოში საწარმოთა სიმძლავრეების კლებამ განაპირობა დასაქმებულთა რიცხვის მკვეთრად შემცირება. ამ დარგების განვითარებისათვის ქვეყანაში დიდი სანედლეულო რესურსია, რომელიც მიზერულ თანხად გაედინება ქვეყნის გარეთ. ქვეყნის ბაზრები კი გაჯერებულია იმპორტირებული (ძირითადად ჩინური), დაბალი ხარისხის პროდუქციით, რომელიც ვერ აკმაყოფილებს მომხმარებლის მხრიდან მასზე წაყენებულ მოთხოვნებს ეროვნომიული, ჰიგიენური და სხვა სამომხმარებლო პარამეტრებით, რომლის გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე საგანგაშოდ უარყოფითია. ამის უპირველესი მიზეზია ის, რომ სამრეწველო საწარმოთა ასორტიმენტის დაგეგმვის დროს (განსაკუთრებით მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის შემთხვევაში) არ არის გათვალისწინებული საქართველოს მოსახლეობის ათროპომეტრიული თავისებურებანი. ქვეყანაში არ ხდება შემოტანილი სამრეწველო პროდუქციის ხარისხობრივი - კონსტრუქტორულ-ტექნოლოგიური და ჰიგიენურ-ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზა - ექსპერტ-სპეციალისტთა არარსებობის გამო. ეს ხელს უწყობს სპეციალისტების დეკვალიფიკაციას, საზოგადოების კვალიფიციური ფენა განიცდის დაბერებას. ამიტომ, სამრეწველო წარმოებისათვის მაღალი კვალიფიკაციისა და პროფესიული კეთილსინდისიერების ეთიკური ნორმებით აღჭურვილი სპეციალისტის მომზადება ძალზე საშური საქმეა და ყოველნაირად უნდა ხდებოდეს ხელშეწყობა აღნიშნული დარგის სპეციალისტის მომზადების საქმეში. რათა ქვეყნის შიგნით მოხდეს მაღალხარისხიანი, მაღალი სამომხმარებლო თვისებების ნაწარმის დამზადება, ამასთან, მოხდეს არსებული საწარმოების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად აღჭურვა, ან ახალი საწარმოების დაფუძნება, რომელიც თავის მხრივ მოსახლეობის შესაბამისი დარგის კვალიფიციური სპეციალისტების დასაქმებას და ახალგაზრდებში დარგის შესწავლაზე მოთხოვნის გაზრდას შეუწყობს ხელს.

პროგრამის აქტუალობას განსაზღვრავს მიზანი, სამრეწველო საწარმოების ინტელექტუალური პოტენციალის ამაღლებისათვის მომზადდეს დარგში მიმდინარე ტექნოლოგიური, კონსტრუქტორული, ესთეტიურ-უტილიტარული და სხვა მნიშვნელოვანი პროგრესული ძვრების, თანამედროვე გამოწვევების შესაბამისი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების მქონე ახალგაზრდა სპეციალისტი.

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“ მიზანი შეესაბამება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისიასა და ხედვას, სადაც არსებობს ჩანაწერი: „მოქალაქეობრივი ცნობიერების, ეროვნული და საკაცობრიო ღირებულებების მატარებელი კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, კვლევების, განათლების და ტექნოლოგიების ახალი შესაძლებლობების შეთავაზება, ქვეყანაში ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის მშენებლობის ხელშეწყობა და საერთაშორისო ეკოსისტემაში ინტეგრირებისათვის ინოვაციური საქმიანობის წარმართვა“, ხოლო უნივერსიტეტის ხედვაა უზრუნველყოს: „ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარებისათვის ინტელექტუალური ბაზისის შექმნა“

პროგრამა შესაბამისობაშია სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის

მისიასთან, მიზნებთან, ამოცანებთან და საქმიანობის ძირითად მიმართულებებთან, სტრატეგიული განვითარების და 3 წლიან სამოქმედო გეგმასთან, რომლის ფარგლებში ხორციელდება დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მჭიდრო თანამშრომლობა.

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“ შექმნილია შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით.

პროგრამის დასრულების შემდგომ ბაკალავრი მიღებული ცოდნის საფუძველზე გააცნობიერებს სამრეწველო საწარმოს დაგეგმარებისა და მონიტორინგის კომპლექსურ საკითხებს და მზად იქნება შემდგომი სწავლისა და კარიერული განვითარებისათვის, რომელიც კავშირშია მრეწველობის სხვადასხვა სფეროებში სამრეწველო ტექნოლოგიური პროცესების წარმართვასთან.

პროგრამა საჯარო და ხელმისაწვდომია, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ვებ-გვერდზე. უნივერსიტეტის ვებ-გვერდის საშუალებით სტუდენტებს და სხვა დაინტერესებულ პირებს აქვთ შესაძლებლობა გაეცნონ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებს. პროგრამაში ჩართული პირების მიერ გაზიარებულია პროგრამის განვითარებისა და განხორციელების ყველა ეტაპის აქტივობები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“;
- პროგრამის „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“ თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ სტუ-სა და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;
- სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისია;
- სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2018-2024 წწ ;
- სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დებულება;
- სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის სტრატეგიული გეგმა (7 წლიანი), მისია, მიზნები და ამოცანები;
- დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები;
- შრომის ბაზრის ანალიზი.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა
 - √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამას „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“ აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული.

პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები, სწავლა/სწავლების და შეფასების მეთოდები სტუდენტს განუვითარებს პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელ როგორც ზოგად, ისე დარგობრივ კომპეტენციებს. პროგრამის შედეგებში აღწერილი ცოდნა, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა, რომელსაც სტუდენტი იძენს პროგრამის ათვისების პერიოდში, ლოგიკურ შესაბამისობაშია პროგრამის მიზანთან.

პროგრამის სწავლის შედეგებით უზრუნველყოფილი იქნება, რომ კურსდამთავრებულებმა შეძლონ დასაქმდნენ სხვადასხვა ტიპის და სიმძლავრის სამრეწველო საწარმოებში: სტამბებში, გამომცემლობებში, მერქნის გადამამუშავებელ კომბინატებში, სატყეო მეურნეობებში, მსუბუქი მრეწველობის ნაკეთობათა საწარმოებში, საპროექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციებში, სერვის-ცენტრებში. მათ ექნებათ საჭირო ცოდნა და კომპეტენცია, ჩამოაყალიბონ საკუთარი წარმოება.

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას.

სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, რომელიც ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს და საშუალებას იძლევა დადგინდეს, თუ რამდენად მიაღწიეს კურსდამთავრებულებმა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს. აღნიშნული დადასტურდა კურსდამთავრებულებთან გასაუბრების დროს.

პროგრამას განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების ნათლად გაწერილი შეფასების მექანიზმი, რომელიც სტუდენტის ცოდნის ადეკვატური შეფასების საშუალებას იძლევა.

პროგრამის სტრუქტურით გათვალისწინებული სასწავლო კურსების ათვისების შემდეგ პროგრამის კურსდამთავრებულები წარმატებით გაართმევენ თავს სამრეწველო საწარმოთა რიტმული და შეუფერხებელი მუშაობისათვის პირობების შექმნის საპასუხისმგებლო და მნიშვნელოვან ფუნქციას.

სპეციალისტებზე მოთხოვნის ზრდის შემთხვევაში (რისი ტენდენციაც უკვე შეინიშნება), პროგრამა უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას. მათ რეალური შესაძლებლობა ექნებათ, რომ სრულად შეიძინონ კვალიფიციური ინჟინერ-ტექნოლოგისათვის აუცილებელი კომპეტენციები, ცოდნა და პრაქტიკული უნარები.

წარმოდგენილი პროგრამა არის აღნიშნული სპეციალისტისათვის აუცილებელ კომპეტენციებზე და სწავლის შედეგზე ორიენტირებული პროგრამა, რომელშიც გონივრულად არის გათვალისწინებული ძირითადი მიმართულების მოთხოვნები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“;
- პროგრამის „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“ თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან;
- დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები;
- სტუ–ს „სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი“;
- პროგრამის სწავლების შედეგების შეფასების მექანიზმის რუქა;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვა რეგულირდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდების, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქციის და პროგრამით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

პროგრამაზე „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“ დაშვების წინაპირობები გამჭვირვალეა. უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, როგორც სიახლეების ველში, ასევე სწავლების დეპარტამენტის გვერდზე ხდება ინფორმაციის განთავსება საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცესებისა და პროცედურების შესახებ. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ვებ-გვერდზე განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამები, სადაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა გაეცნოს როგორც პროგრამაზე დაშვების წინაპირობას ასევე მის შინაარსობრივ მხარესაც.

პროგრამაზე ჩარიცხებიან აბიტურიენტები, რომლებიც ფლობენ მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ სახელმწიფო სერტიფიკატს (ან მასთან გათანაბრებული პირი) და გაივლიან ერთიან ეროვნულ გამოცდებს. ჩარიცხვა წარმოებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სტუდენტების მიღება ხორციელდება განსაზღვრული კონტინგენტის საფუძველზე, რომელსაც ამტკიცებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ფაკულტეტის საბჭოსა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული კონტიგენტის შესაბამისად. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება ენიჭებათ აგრეთვე სტუდენტებს, რომლებიც ისარგებლებენ შიდა ან გარე მობილობით, შესაბამისი ვადებისა და პროცედურების დაცვით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“ თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პროგრამის ხელმძღვანელთან;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამა „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“ შედგენილია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შემუშავებული და აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესის შესაბამისად.

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“ სტრუქტურა თანმიმდევრულად და ლოგიკურად არის შედგენილი. მისი სტრუქტურა და შინაარსი უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად; საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს თავისუფალი კომპონენტების ფარგლებში არჩევითობას.

სტუდენტმა ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“ ფარგლებში ბაკალავრის ხარისხი, სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიაში აკადემიური ხარისხის მინიჭებისთვის უნდა დააგროვოს არანაკლებ 240 კრედიტი, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და ძირითადი კვალიფიკაციისთვის საჭირო შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს ბაკალავრიატის საფეხურის აღმწერის დონით.

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“ პროგრამა შედგენილია ECTS სისტემით, 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელშიც იგულისხმება, როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. კრედიტების განაწილება წარმოდგენილია სასწავლო გეგმაში. პროგრამა გრძელდება 4 წელი (8 სემესტრი) და მოიცავს 240 კრედიტს.

საგანმანათლებლო პროგრამაში კომპონენტების თანაფარდობა შემდეგი სახითაა წარმოდგენილი: სავალდებულო სასწავლო კურსები –193 კრედიტი, პრაქტიკა 6 კრედიტი, საბაკალავრო ნაშრომი 6 კრედიტი, სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები –15 კრედიტი, თავისუფალი კომპონენტი – 20 კრედიტი.

პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სტრუქტურა შეესაბამება სწავლების საფეხურს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამაში შემავალი სასწავლო კომპონენტების თანმიმდევრობა ლოგიკურად არის დალაგებული, დაცულია მარტივიდან რთულზე თანდათანობით გადასვლის პრინციპი, სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობა ძირითადად ადეკვატურია, თუმცა, ზოგიერთ სასწავლო კურსში უფრო

ლოგიკურადაა გასააზრებელი კონკრეტული წინაპირობები, კერძოდ: „სამრეწველო მასალების კონფექციონირება“, სადაც ძირითადად მსუბუქ მრეწველობაში გამოყენებული მასალებია განხილული, წინაპირობად სასწავლო კურსი „ლითონთა ტექნოლოგია და მასალათმცოდნეობა“ არ შეესაბამება და შესაძლებელია იქნას ამოღებული; სასწავლო კურსის „საფუთავი მასალები და საწარმოო პროცესები“ – წინაპირობად აქვს „სამრეწველო მასალების კონფექციონირება“, რაც მისი შინაარსიდან გამომდინარე არ უნდა იყოს ამ კურსისთვის სწავლებაზე დაშვების წინაპირობა. აქ შეიძლება განხილულ იქნას სასწავლო კურსი „გარემოს დაცვა და ეკოლოგია“.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

- სასწავლო კურსის „სამრეწველო მასალების კონფექციონირება“ წინაპირობად სასწავლო კურსი „ლითონთა ტექნოლოგია და მასალათმცოდნეობა“ შესაძლებელია იქნას ამოღებული;
- სასწავლო კურსის „საფუთავი მასალები და საწარმოო პროცესები“ – წინაპირობად შეიძლება განხილულ იქნას სასწავლო კურსი „გარემოს დაცვა და ეკოლოგია“, ნაცვლად სასწავლო კურსისა „სამრეწველო მასალების კონფექციონირება“.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა
 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები ძირითადად შესაბამისობაშია პროგრამაში არსებულ სწავლის შედეგებთან, რაც წარმოდგენილია პროგრამის სწავლის შედეგების და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შესაბამისობის ცხრილის სახით.

სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია მრეწველობის დარგის აქტუალურ მიღწევებზე, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსებში მითითებულია ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა, რომელიც უმეტეს შემთხვევაში ადეკვატურია სასწავლო კურსის მიზანთან და სწავლის შედეგებთან. მაგრამ არის სასწავლო კურსები, სადაც პროგრამის მიზნიდან და შედეგებიდან გამომდინარე სავალდებულოა რიგი საკითხების განხილვა და ლიტერატურის დამატება. მაგალითად: სასურველია სასწავლო კურსს „საინჟინრო მათემატიკა 3“ დაემატოს ალბათობის თეორისა და მათემატიკური სტატისტიკის საკითხები, რომლებიც სამრეწველო დარგის ინჟინერისათვის პრაქტიკულ საქმიანობაში ხშირადშემხვედრი პრობლემების გაანალიზების და საწარმოო პროცესის დაგეგმვის საფუძველია (მაგ. მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში); სასწავლო კურსის „საგამომცემლო საქმე და წიგნმცოდნეობა“ შინაარსში გამოიკვეთოს თემა საავტორო უფლებების შესახებ; სასწავლო კურსში „ბეჭდვითი რეკლამა“ სამუშაო ადგილის მოწყობა განხილულია შინაარსის მე-10 თავში, სასურველია ამ თემას სასწავლო კურსის შესავალ ნაწილში გაეცნოს სტუდენტი; სასურველია სილაბუსის აღწერილობით ნაწილში მითითებული იყოს სასწავლო კურსის სტატუსი (ძირითადი/არჩევითი).

სასწავლო კურსების სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსის სილაბუსები და რიგი სასწავლო კურსების ძირითადი ლიტერატურის ჩამონათვალს დაემატოს კურსის განხორციელებისათვის აუცილებელი ლიტერატურა. მაგ:

- „ქართული ხალხური რეწვა“ ძირითადი ლიტერატურა მხოლოდ ნაქარგობას ეხება, როცა სილაბუსში ხალხური რეწვის სხვა მიმართულებებიცაა განხილული (ქსოვა (სხვადასხვა ტექნიკით), თელვა, ღებვა);
- „ხელოსნური წარმოება და ტყავის დამუშავების ხალხური წესები“ – აღნიშნული საკითხები ღრმად და საინტერესოდ არის განხილული გ. ჯალაბაძის, ს. მაკალათია, ც. ბეზარაშვილის და სხვათა წიგნებში;
- სილაბუსში „მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის ზოგადი ტექნოლოგია“ – ფეხსაცმელთან დაკავშირებული ლიტერატურა არ არის;
- „მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის და აქსესუარების კონსტრუირების საფუძველები – ანთროპომეტრია“ – ტყავის ნაკეთობების შესწავლისათვის აუცილებელია შესაბამისი სახელმძღვანელო, რომელიც მითითებულია სასწავლო კურსში „მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის ავტომატური დაგეგმარება“, რომელსაც თავის მხრივ უნდა დაემატოს სახელმძღვანელო „ტყავის ნაკეთობათა კონსტრუირება 2“. აღნიშნული სახელმძღვანელოები უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ბაზაში იძებნება, შესაბამისად არ არის პრობლემა მისი ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“;

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- ინტერვიუები სასწავლო კურსების განმახორციელებ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

სასწავლო კურსების სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსის სილაბუსები და რიგი სასწავლო კურსების ძირითადი ლიტერატურის ჩამონათვალს დაემატოს კურსის განხორციელებისათვის აუცილებელი ლიტერატურა. მაგ:

- „ქართული ხალხური რეწვა“ ძირითადი ლიტერატურა მხოლოდ ნაქარგობას ეხება, როცა სილაბუსში ხალხური რეწვის სხვა მიმართულებებიცაა განხილული (ქსოვა (სხვადასხვა ტექნიკით), თელვა, ღებვა);
- „ხელოსნური წარმოება და ტყავის დამუშავების ხალხური წესები“ – აღნიშნული საკითხები ღრმად და საინტერესოდ არის განხილული გ. ჯალაბაძის, ს. მაკალათია, ც. ბეზარაშვილის და სხვათა წიგნებში;
- სილაბუსში „მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის ზოგადი ტექნოლოგია“ – ფეხსაცმელთან დაკავშირებული ლიტერატურა არ არის;
- „მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის და აქსესუარების კონსტრუირების საფუძვლები – ანთროპომეტრია“ – ტყავის ნაკეთობების შესწავლისათვის აუცილებელია შესაბამისი სახელმძღვანელო, რომელიც მითითებულია სასწავლო კურსში „მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის ავტომატური დაგეგმარება“, რომელსაც თავის მხრივ უნდა დაემატოს სახელმძღვანელო „ტყავის ნაკეთობათა კონსტრუირება 2“. აღნიშნული სახელმძღვანელოები უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ბაზაში იძებნება, შესაბამისად არ არის პრობლემა მისი ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია:

- სასწავლო კურსს „საინჟინრო მათემატიკა 3“ დაემატოს ალბათობის თეორისა და მათემატიკური სტატისტიკის საკითხები;
- სასწავლო კურსის „საგამოცემლო საქმე და წიგნმცოდნეობა“ შინაარსში გამოიკვეთოს თემა საავტორო უფლებების შესახებ;
- სასწავლო კურსში „ბეჭდვითი რეკლამა“ გადაიხედოს შინაარსი და მოხდეს მისი ლოგიკური თანმიმდევრობით ჩამოყალიბება;
- სასურველია სილაბუსების აღწერილობით ნაწილში მითითებული იყოს სასწავლო კურსის სტატუსი (ძირითადი/არჩევითი).

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პროგრამას აქვს რეკომენდირებული პროგრამის შესაბამისი თავისუფალი სასწავლო კურსების ბაზა, რომელიც სტუდენტს თავაზობს არჩევითი საგნების ფართო სპექტრს.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა
 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“ ფარგლებში გათვალისწინებულია საწარმოო პრაქტიკა (6 კრედიტი), რომლის განხორციელების მიზნით საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება 4 მაპროფილებელ საწარმოსთან. სასურველია პარტნიორ საწარმოთა რიცხვის და პროფილის გაზრდა, სტუდენტთათვის საწარმოო პრაქტიკის არეალის გაფართოებისათვის. მითუმეტეს, რომ პროგრამის კურსდამთავრებულთა შორის არის წარმატებული პრაქტიკის და საკუთარი საწარმოების მფლობელი პიროვნებები, რომლებმაც ინტერვიუს პროცესში პროგრამის ირგვლივ შექმნეს დადებითი წარმოდგენა და გამოთქვეს მზაობა მათი საწარმო განიხილებოდეს პრაქტიკის ბაზად.

პროგრამა ითვალისწინებს შემოქმედებით კომპონენტს, როგორცაა „საბაკალავრო ნაშრომი“. თავისი შინაარსით აღნიშნული სასწავლო კურსი წარმოადგენს პროგრამის დამასრულებელ ნაშრომს, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტის პრაქტიკული, კვლევითი და შემოქმედებითი უნარების განვითარებას და მათ დემონსტრირებას. თავისუფალ კომპონენტებში ასევე გათვალისწინებულია სასწავლო კურსი „მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის და აქსესუარების მასალაში შესრულება“, რომელიც ასევე ხელს უწყობს მიღებული ცოდნის პრაქტიკული განხორციელების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას სტუდენტებში და „საბაკალავრო ნაშრომთან“ ერთად წარმოადგენს სასწავლო პროცესის დამასრულებელ ეტაპს. ეს მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა – შემოწმდეს საბაკალავრო პროგრამაზე სწავლისას მიღებული უნარ-ჩვევები და მათი პრაქტიკაში რეალიზების შესაძლებლობები. სასურველია აღნიშნული სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობის გაზრდა (5 კრედიტამდე), რათა სტუდენტებს მეტი დრო ჰქონდეთ პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენისათვის.

პროგრამაში სხვადასხვა სასწავლო კურსების ფარგლებში გათვალისწინებულია სხვადასხვა ტიპის პრაქტიკული უნარების განვითარების ხელშემწყობი აქტივობები, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტს შეიმუშაოს საკუთარი პორტფოლიო, რომელიც აუცილებელი კომპონენტია დასაქმების ბაზარზე სპეციალისტის ცოდნის შეფასებისათვის. ბუნებრივია, პრაქტიკული ხასიათის აქტივობები ხელს უწყობს სტუდენტების კვლევითი და ანალიტიკური კომპეტენციების, პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებას. თუმცა სილაბუსებში არ კონკრეტდება, რომ პორტფოლიო არის კონკრეტული კურსის საბოლოო პროდუქტი, მაგრამ მსუბუქი მრეწველობის მიმართულებით ლაბორატორიული ბაზების გაცნობის დროს ნანახი იქნა სტუდენტთა ნამუშევრების კატალოგი საინტერესო მხატვრული ნამუშევრებით.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტების სხვადასხვა

პროექტებში ჩართულობას, როგორცაა სტუდენტური პროექტები, კონკურსები, სტუდენტური კონფერენციები, თუმცა სტუდენტებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ მათ ნაკლებად აქვთ ინფორმაცია ბევრი სტუდენტური აქტივობის შესახებ. სასურველია, უნივერსიტეტმა და პროგრამის განმახორციელებელმა ჯგუფმა აქტიურად იმუშაოს სტუდენტთა ინფორმირებულობის კუთხით, რათა დროულად და სრულყოფილად მიეწოდოთ ინფორმაცია ადგილობრივი და საერთაშორისო ღონისძიებების შესახებ. სასურველია ასევე ქვეყნის მასშტაბით სხვა უნივერსიტეტების მონათესავე დარგის პროგრამების სტუდენტებთან ერთობლივ ღონისძიებებში, კონკურსებში და გამოფენებში მონაწილეობა, გამოცდილების გაზიარებისა და თანამშრომლობითი საქმიანობის სფეროს გაფართოების მიზნით. საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობისათვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ენობრივი ბარიერი როგორც სტუდენტებში, ასევე აკადემიურ პერსონალში, რაც პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია, კერძოდ უცხო ენის 20 კრედიტი სტუდენტებისათვის ენობრივი კომპეტენციის ამაღლების საშუალებას ქმნის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- ინტერვიუ სასწავლო კურსების განმახორციელებ პერსონალთან;
- ინტერვიუ დამსაქმებლებთან;
- ინტერვიუ სტუდენტებთან;
- ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია პარტნიორ საწარმოთა რიცხვის და პროფილის გაზრდა, სტუდენტთათვის საწარმოო პრაქტიკის არეალის გაფართოებისათვის;
- სასურველია სასწავლო კურსის „მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის და აქსესუარების მასალაში შესრულება“ კრედიტების რაოდენობის გაზრდა (5 კრედიტამდე), რათა სტუდენტებს მეტი დრო ჰქონდეთ პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენისათვის;
- სასურველია ქვეყნის მასშტაბით სხვა უნივერსიტეტების მონათესავე დარგის პროგრამების სტუდენტებთან ერთობლივ ღონისძიებებში, კონკურსებში და გამოფენებში მონაწილეობა, გამოცდილების გაზიარებისა და თანამშრომლობითი საქმიანობის სფეროს გაფართოების მიზნით;
- სასურველია მხოლოდ პრაქტიკული/ლაბორატორიული კომპონენტის მქონე სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებული იყოს, რომ პორტფოლიო არის კონკრეტული კურსის საბოლოო პროდუქტი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- წარმატებული პროფესიული კარიერის მქონე კურსდამთავრებულები, რომლებიც პროფილის შესაბამისად მოღვაწეობენ, ან აქვთ საკუთარი საწარმო, მჭიდრო კავშირი არიან პროგრამასთან, იცნობენ მას და ცდილობენ მის მხარდაჭერას კურსდამთავრებულთა დასაქმებითა და სტუდენტებისთვის საპრაქტიკო ობიექტად

<p>ყოფნას.</p> <p>– სტუდენტური ნამუშევრების კატალოგი და შესრულებული მზა ნამუშევრების ან ნაკეთობათა ფრაგმენტების გამოფენა.</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები</p>
<p>პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“ სასწავლო კურსები მოიცავს სწავლების მეთოდებს: ლექცია, სემინარი, პრაქტიკული, ლაბორატორიული მუშაობა, პრაქტიკა, დამოუკიდებელი მუშაობა, კონსულტაცია, საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობა, რომელთა ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.</p> <p>სასწავლო კურსის სილაბუსებში მოცემულია სწავლება - სწავლის მეთოდების შესაბამისი აქტივობები, მაგალითად: დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი სწავლება, ჯგუფური მუშაობა, დემონსტრირება, ახსნა-განმარტება, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერება, დედუქცია, ინდუქცია, ანალიზი, სინთეზი, შემთხვევების შესწავლა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), წერითი მუშაობა, ქმედებაზე ორიენტირებული და ა.შ. გამოყენებულია ასევე საშინაო დავალებები, პრეზენტაციაზე ნამუშევრების წარდგენა. უნივერსიტეტში, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას ან საწარმოების ბაზაზე განხორციელებული პრაქტიკის დროს აქტიურად გამოიყენება ლაბორატორიული და პრაქტიკული სამუშაოს ჩატარების მეთოდი. უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ აღნიშნული მეთოდები აპრობირებულია ამ მიმართულების პროგრამების განხორციელების პროცესში და შესაბამისობაშია უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის დებულებებთან, რომელიც იძებნება როგორც თანდართულ დოკუმენტაციაში, ისე უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.</p> <p>ითხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p>ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს. თუმცა ინტერვიუს დროს სტუდენტებმა ვერ შეძლეს აეხსნათ პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)–ის არსი. ასევე სასწავლო კურსების სილაბუსებში, რომელიც ითვალისწინებს პრაქტიკულ სამუშაოებს, არ იკითხება, რომ სტუდენტი სწავლის შედეგად წარადგენს საკუთარი</p>

ნამუშევრების პორტფოლიოს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- სწავლება-სწავლის მეთოდები და შესაბამისი აქტივობები;
- ინტერვიუ სტუდენტებთან;
- ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია, რომ სტუდენტები გარკვეული იყვნენ სწავლება-სწავლის მეთოდების არსში და კონკრეტული სასწავლო კურსისათვის გამოყენებული მეთოდების შესახებ ინფორმაცია მიიღონ კურსის საწყის ეტაპზე.
- სასურველია სტუდენტმა შექმნას და წარმოადგინოს პორტფოლიო იმ სასწავლო კურსების ათვისებისას, რომლებიც ითვალისწინებენ ისეთ პრაქტიკულ სამუშაოებს, რომლებიც ორიენტირებული არიან სტუდენტის მიერ საკუთარი ნაშრომების წარმოდგენაზე და ამ შემთხვევაში შესაბამისი ჩანაწერიც უნდა არსებობდეს სილაბუსში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა
 - ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სწავლის შედეგების შეფასების სისტემა ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებს, კომპონენტებსა და მეთოდებს, რომლებიც სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის საშუალებას იძლევა;

თითოეულ სასწავლო კურსში სტუდენტის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით, რომელიც სასწავლო პროცესში ჩართული აქტივობის, შუალედური და დასკვნითი შეფასების წილისგან შედგება და მოიცავს სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასებას. აქტივობა ითვალისწინებს სტუდენტის

ყოველკვირეულ შეფასებას პრაქტიკულ მეცადინეობებზე, შეფასების მეთოდები და რუბრიკები დეტალურად არის აღწერილი სილაბუსებში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის როგორც ელექტრონულად, ისე მატერიალური ფორმით.

შუალედური და დასკვნითი გამოცდა ტარდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების საფუძველზე, რომელიც გულისხმობს გამოცდის ჩატარების პერიოდს და ფორმას. გამოცდის ფორმას (წერა, ტესტირება საგამოცდო ცენტრში) წყვეტს სილაბუსის ავტორი სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით. სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.

შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახულია კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში, რომელიც ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. შეფასების სისტემა უშვებს: ხუთი სახის დადებით შეფასებას და ორი სახის უარყოფით შეფასებას.

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი პერიოდულად მონაწილეობს სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების გამოყენების მიზნით დაგეგმილ ტრენინგებში და იღებს შესაბამის მხარდაჭერას.

სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო შეფასების საფუძველზე, რომელიც შედგება აქტივობის და შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულათა ჯამისაგან. შეფასების თითოეულ ფორმაში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შუალედური შეფასებების კომპონენტებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ჯამურად შეადგენს არანაკლებ 30 ქულას; დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის მიერ მიღებული შეფასების მინიმალური ზღვარი შეადგენს 11 ქულას, რაც დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის ცოდნის შეფასებისათვის დაბალი მაჩვენებელია. სტუდენტის მოტივაციის ასამაღლებლად სასურველი იქნებოდა შეფასების ქულა აღმატებოდეს მაქსიმალური ქულის მესამედს მაინც. უზრუნველყოფილია შეფასების შედეგების დროული გაცნობა და სტუდენტი იღებს უკუკავშირს მიღებული შედეგის შესაბამისად.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციაში მოცემული სასწავლო პროცესის ორგანიზების, სტუდენტთა მიღწევების შეფასების, სტუდენტებთან სასწავლო და საფინანსო ხელშეკრულებებისა და სტუდენტის მიერ კრედიტების დაგროვების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“ (სილაბუსები);
- სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია <https://gtu.ge/Study-Dep/Forms/Forms.php..>
- შეფასების სისტემის მარეგულირებელი დოკუმენტი;
- შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები;
- ელექტრონული პორტალი: <https://leqtori.gtu.ge>.
- ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუ სტუდენტებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

სასურველია დასკვნითი გამოცდის შეფასების მინიმალური ქულა 11-ის ნაცვლად განისაზღვროს არანაკლებ მაქსიმალური ქულის მესამედით მაინც.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში ვიზიტის დროს განხორციელებულ ინტერვიუებზე დაყრდნობით ჩანს, რომ მოცემული სტანდარტის კომპონენტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ინტერვიუებში მონაწილეობდნენ სტუდენტები და კურსდამთავრებულები, რომელთაც დაადასტურეს, რომ სტუდენტები და კურსდამთავრებულები პროგრამის შემუშავების პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულები, შესაბამისად მათგან მიღებული რჩევები და რეკომენდაციები პროგრამის განვითარებაში ასახულია, კონკრეტულად კი, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ინიცირებით პროგრამაში გაიზრდა უცხო ენის, კერძოდ ინგლისური ენის კრედიტების რაოდენობა. კურსდამთავრებულთა სურვილია პროგრამაში მოხდეს ე.წ აიტი უნარების გაძლიერება და შესაფუთ მასალებზე კურსების დამატება ან გამრავალფეროვნება.

გამოიკვეთა, რომ სტუდენტები ყოველი სემესტრის დასაწყისში უნივერსიტეტის მხრიდან ინიცირებულ საინფორმაციო შეხვედრებს ესწრებიან, სადაც მათ მიეწოდებათ ყველა საჭირო ინფორმაცია სასწავლო პროგრამისა და სასწავლო პროცესის შესახებ, ასევე ისინი ფლობენ ინფორმაციას უნივერსიტეტის სერვისების შესახებ. სტუდენტებისთვის ინფორმაციის გაზიარება ხდება სხვადასხვა წყაროების მეშვეობით: უნივერსიტეტის ვებ

გვერდი, ელექტრონული ბაზები, ელექტრონული ფოსტა, სოციალური ქსელი და სხვა. თუმცა, ამ კუთხით არსებობდა გარკვეული პრობლემა: კორპორაციული ელ-ფოსტის არარსებობა და შესაბამისად კურსდამთავრებულთა ნაკლებინფორმირებულება. თუმცა, პანდემიის პერიოდში ყველა აქტიური სტუდენტი მოიხმარს კორპორაციულ ელ-ფოსტას და ინფორმაციის მიწოდების კუთხით ამ ეტაპზე პრობლემებს აღარ ვხვდებით.

ინტერვიუებმა ცხადჰყო, რომ ადმინისტრაცია ცდილობს სტუდენტებს დახმარება გაუწიოს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის მოგვარებაში. უნივერსიტეტში მოქმედებს შიდა ელექტრონული სისტემა, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტს სემესტრის დასაწყისიდან, მისი მსვლელობისას და დასრულების შემდეგ თვალი ადევნოს საკუთარ აკადემიურ მოსწრებას და გაეცნოს კურსების სილაბუსებს, მიმდინარე სიახლეებსა და მისთვის საჭირო ნებისმიერ ინფორმაციას.

სტუდენტებმა ასევე დაადასტურეს, რომ აკადემიური პერსონალი კურსის დასაწყისში დეტალურად აცნობს მათ სასწავლო კურსის სილაბუსს, სწავლის მიზნებს, შედეგებს, შინაარსს, შეფასების სისტემას. მათ იციან, რომ აქვთ საკონსულტაციო საათით სარგებლობის უფლება და საკმაოდ ხშირად იყენებენ აღნიშნულ მექანიზმს.

უნივერსიტეტის სპეციალური სამსახური, სტუდენტებს პერიოდულად სთავაზობს სხვადასხვა დასაქმების შესაძლებლობებს ელ-ფოსტაზე შეტყობინებების სახით, თუმცა უფრო აქტიურად პროგრამის ხელმძღვანელი და პროგრამაში ჩართული პირები ეხმარებიან სტუდენტებს ამ მიმართულებით. ასევე, სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა სახის ტრენინგებში, პროექტებსა და კონფერენციებში. გარდა ამისა, ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ სტუდენტები ნაკლებად არიან დაინტერესებული გაცვლითი პროგრამებით, თუმცა ინფორმაციას აღნიშნული შესაძლებლობის შესახებ ფლობენ. აქვე აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები სხვადასხვა უცხოურ უმაღლესი განათლების დაწესებულებებთან. იმისათვის რომ სტუდენტებმა მაქსიმალურად ისარგებლონ უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებული განვითარების შესაძლებლობებით, საჭიროა გაანალიზდეს სტუდენტთა სურვილის ნაკლებობა და განისაზღვროს წახალისების მექანიზმები.

ზოგადად, სტუდენტები აღნიშნავენ რომ უნივერსიტეტში შექმნილია სტუდენტებისადმი უაღრესად კეთილგანწყობილი გარემო.

თუმცა, სტუდენტები და კურსდამთავრებულები იმასაც აღნიშნავენ, რომ გასაუმჯობესებელი მხარეები კიდევ არსებობს და ძირითადად ეს ეხება სტაჟირებისა და დასაქმების შესაძლებლობების გაძლიერებას, ასევე კურსდამთავრებულებთან მჭირდრო კონტაქტს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი;
- სტუ-ს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების და მონიტორინგის სისტემა;
- სტუდენტური ინოვაციური პროექტები;
- სტუდენტური სერვის ცენტრი;
- სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესი;
- გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუ სტუდენტებთან.

რეკომენდაციები:

<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>სასურველია, გაიზარდოს აქტიურ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ინფორმირებულობა პროგრამასთან და უნივერსიტეტში განხორციელებულ პროექტებთან დაკავშირებით.</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა <ul style="list-style-type: none"> ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა</p>
<p>მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <ul style="list-style-type: none"> ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზოთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამას “სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია” ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რაც დასტურდება პროგრამის პაკეტზე თანდართული დოკუმენტაციით. აკადემიური პერსონალის შერჩევა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ხდება ღია კონკურსის წესით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და უნივერსიტეტის წესდების მოთხოვნების დაცვით.

აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია კანონმდებლობისა და უსდ-ის შიდა რეგულაციებით დადგენილ სტანდარტებთან. როგორც აკადემიურ, ისე მოწვეულ პერსონალს აქვს შესაბამისი კომპეტენცია, რაც დასტურდება მათ მიერ ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული შრომებით: სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, რეფერირებად და რეცენზირებად ჟურნალებში გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები, მოხსენებები საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში (პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში) – 324), რაშიც მათ ხელს უწყობს უნივერსიტეტში მოქმედი თანამშრომელთა პრემირების და

სახელმძღვანელოების გამოცემის მხარდამჭერი ღონისძიებები, რაც დასტურდება აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებით.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო და სამეცნიერო - კვლევითი პროცესის წარმართვას.

პროგრამას ახორციელებს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე, აფილირებული 41 აკადემიური პერსონალი: 21 პროფესორი, 13 ასოცირებული პროფესორი, 2 ასისტენტ პროფესორი, 5 მოწვეული პერსონალი. მათი პერსონალური მონაცემების გაცნობით დასტურდება, რომ აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია. შესაბამისად, მათ მიერ პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადო დონეზე წარმართვა ეჭვს არ იწვევს.

თანაფარდობა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის არის 36/5 (მოწვეული პერსონალი – 8%). პროგრამა ხორციელდება მაპროფილებელი დეპარტამენტების ბაზაზე. დამატებით ემსახურება ზოგადსაუნივერსიტეტო დისციპლინების განმახორციელებელი პერსონალი შესაბამისი დეპარტამენტებიდან.

თანაფარდობა აკადემიური და მოწვეული პერსონალის საერთო რაოდენობას შორის და მათი შესაბამისობა პროგრამაზე სტუდენტთა რაოდენობასთან, უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

უნდა აღინიშნოს განმახორციელებელი პერსონალის საშუალო ასაკის მაღალი მაჩვენებელი, რაც სწავლის კომპეტენტურად და მაღალპროფესიონალურ დონეზე წარმართვის მყარი გარანტიაა, მაგრამ პროგრამის შემდგომი სიცოცხლისუნარიანობისათვის აუცილებლად მოითხოვს ახალგაზრდა კადრების აღზრდას და პროფესიონალად ჩამოყალიბებას.

პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისა და განხორციელებისათვის აუცილებელი ცოდნა და მდიდარი პრაქტიკული გამოცდილება, რაც დასტურდება მისი პერსონალური მონაცემებით. კერძოდ: 20-წლიანი სამეცნიერო-პრაქტიკული და პედაგოგიური მოღვაწეობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით: სამეცნიერო შრომები, საავტორო მოწმობები და პატენტები, პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი სახელმძღვანელოები და სალექციო კურსები. პროგრამის ხელმძღვანელი, არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „პოლიგრაფიისა და მსუბუქი მრეწველობის ტექნოლოგიების“ დეპარტამენტის ხელმძღვანელი და შესაბამისად უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში, აქტიურად თანამშრომლობს დამსაქმებლებთან, დარგის საწარმოებთან, კურსდამთავრებულებთან დარგის მოთხოვნათა შესაბამისად პროგრამის განვითარების მიზნით, რაც დადასტურდა დამსაქმებლების, პრაქტიკის ბაზების პოტენციურ ხელმძღვანელებსა და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგად.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას ემსახურება სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი, დეკანის, დეკანის მოადგილეების, ფაკულტეტის მენეჯერის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსისა და სხვა ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის (სულ 33,5 საშტატო ერთეული) სახით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“;

<ul style="list-style-type: none"> • პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პერსონალური ინფორმაცია; • ინტერვიუები ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; • ინტერვიუ სტუდენტებთან; • ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან.
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:</p> <ul style="list-style-type: none"> - სასურველია პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა იზრუნოს ახალგაზრდა კადრების აღზრდასა და პროფესიონალად ჩამოყალიბებაზე – პროგრამის შემდგომი სიცოცხლისუნარიანობის აუცილებლობიდან გამომდინარე.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> - აფილირებული პერსონალის მაღალი აკადემიური სტატუსი განმახორციელებელი პერსონალის საერთო რაოდენობაში; - პროგრამის ხელმძღვანელის მაღალი კომპეტენცია; - პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გუნდური მუშაობის პრაქტიკა.
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება</p>
<ul style="list-style-type: none"> ➤ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➤ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამის თვითშეფასების ანგარიშიდან და თანდართული დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პერიოდულად ხდება პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების კვლევა, შედეგების ანალიზი და დასკვნების შესაბამისი აქტივობები ხელს უწყობს ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის ფუნქციების, უფლება-მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების ეფექტურად რეალიზებასა და პროფესიულ განვითარებას.</p> <p>აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ სწავლების პროცესის შეუფერხებელი და ეფექტური განხორციელებისათვის შექმნილია სათანადო პირობები. არსებობს როგორც მატერიალური, ასევე ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფის შესაძლებლობა, რამდენადაც პროგრამა სარგებლობს სრული სახელმწიფო პროგრამული დაფინანსებით,</p>

ამასთან ფაკულტეტის ბიუჯეტითაც და ადმინისტრაციის მიერ მხარდაჭერილია პროგრამის განხორციელება.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის პრიორიტეტულ მიმართულებებში განსაზღვრული „ხარისხზე ორიენტირებული საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარება“, „ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა“ და „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და სტრატეგია“ ძირითადად ორიენტირებულია უნივერსიტეტში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების, საგანმანათლებლო და კვლევითი/სამეცნიერო პროცესის ეფექტიანად წარმართვის ხელშეწყობასა და პროფესიულ განვითარებაზე. აღნიშნული საკითხები ასევე წარმოადგენს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის პერსონალის საქმიანობის შეფასების პოლიტიკის ძირითადი მიზანს.

კარგი პრაქტიკაა, რომ აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შექმნილია პროფესიული განვითარების ცენტრი, სადაც პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი გადის ტრენინგებს შემდეგი მიმართულებით: კარიერის დაგეგმვა; სწავლისა და სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიები; სწავლის შედეგები და მათი შეფასება.

ასევე კარგი პრაქტიკაა, რომ სტუ-ში და ფაკულტეტებზე ფუნქციონირებს სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოები, პროგრამებისათვის შესაბამისი სასწავლო-მეთოდური ლიტერატურით უზრუნველყოფის მიზნით.

ორგანიზაციული კლიმატისა და თანამშრომელთა მოტივაციის გაზრდის პრიორიტეტს წარმოადგენს სტუ-ში არსებული წახალისების სისტემის ინტეგრირება პერსონალის მართვის პოლიტიკაში. წახალისების სისტემა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი და მრავალშვილიანი ოჯახების სტუდენტი შვილების უნივერსიტეტში სწავლისთვის განსაკუთრებული პირობების (ნაწილობრივი ან სრული დაფინანსება) შეთავაზებას, თანამშრომლების აკადემიურ და სამეცნიერო გარემოში ჩართვაზე მოტივაციას. ამისათვის უნივერსიტეტში გაწერილია პერსონალის შეფასების პოლიტიკა - შესრულებული სამუშაოს ეფექტიანობის ობიექტური გაზომვის მიზნით.

სწავლების პროცესის ხარისხის შემოწმებისათვის სტუ-ში ფუნქციონირებს საფაკულტეტო კომისიები, რომლებსაც სხვა ძირითად ფუნქციებთან ერთად ევალება აკადემიური პერსონალის მიერ ჩატარებული მეცადინეობების ხარისხის და საგანმანათლებლო პროგრამებთან შესაბამისობის, საკვალიფიკაციო მოთხოვნების შეფასება (წინასწარ განსაზღვრული პარამეტრებისა და მექანიზმების გამოყენებით).

უნივერსიტეტს აქვს მკაფიოდ ჩამოყალიბებული: აკადემიურ, მოწვეულ პროფესორზე და მასწავლებელთა პერსონალზე სახელფასო დანამატის გაცემის წესი; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება; დადგენილება „სტუ-ის პროფესორ-მასწავლებელთა შეფასების სისტემისა და რეაგირების შესახებ“ და პერსონალის განვითარების ხელწყობის პოლიტიკის წარმართვის ნათლად ჩამოყალიბებული მექანიზმები, რაც დასტურდება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრების, ასევე პროგრამის პაკეტზე თანდართული დოკუმენტაციის შედეგად.

პერსონალის განვითარების ხარისხის შეფასებისათვის საკუთარი მიღწევების შესახებ ინფორმაციას განთავსება მეცნიერული მიღწევების პერსონალურ გვერდზე (<http://science.gtu.ge/>), ხელს უწყობს საუნივერსიტეტო ბაზის შექმნას და გამჭვირვალეს

ხდის პერსონალის აკადემიურ და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხარისხს.

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამის „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“ ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების შედეგების შეფასებისა და ანალიზის მიზნით განხორციელებული აქტივობები და მათი პროცენტული მაჩვენებლები, რომლებიც ნაჩვენებია პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში, სარწმუნოს ხდის მათ კვალიფიკაციასა და აკადემიურ კეთილსინდისიერებას.

მიუხედავად პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის დამაკმაყოფილებელი აკადემიური დონისა, მაინც რჩება საერთაშორისო აქტივობების და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის რაოდენობრივი მაჩვენებლების ამაღლების სურვილი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პერსონალური ინფორმაცია;
- ინტერვიუები ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- აკადემიურ, მოწვეულ პროფესორზე და მასწავლებელთა პერსონალზე სახელფასო დანამატის გაცემის წესი
https://gtu.ge/Administration/Senate/pdf/professorebis_premiebi_bonusebi_2017.pdf;
- „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება“ სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2018 წლის 14 თებერვლის № 01- 06-02/06 დადგენილება;
- საფაკულტეტო კომისია – 2019 წლის 19.11 №01-09-10/273 ბრძანება;
- „სტუ-ის პროფესორ-მასწავლებელთა შეფასების სისტემისა და რეაგირების შესახებ“ სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 27 სექტემბრის № 531 დადგენილება;
- გამოკითხვის ფორმები და შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის საერთაშორისო აქტივობების და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობის რაოდენობრივი მაჩვენებლების ამაღლება.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შექმნილი პროფესიული განვითარების ცენტრი, სადაც პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი გადის ტრენინგებს შემდეგი მიმართულებით: კარიერის დაგეგმვა; სწავლისა და სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიები; სწავლის შედეგები და მათი შეფასება;
- სტუ-ში და ფაკულტეტებზე ფუნქციონირებადი სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოები, პროგრამებისათვის შესაბამისი სასწავლო-მეთოდური ლიტერატურით უზრუნველყოფის მიზნით.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტს სასწავლო გარემო აღჭურვილი აქვს წლების განმავლობაში შენარჩუნებული და ასევე თანამედროვე ინფრასტრუქტურით. მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და აღჭურვილობა რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. ლაბორატორიულ ბაზას ეტყობა მოამაგე ადამიანების მზრუნველობის შედეგი. სტუდენტებს საშუალება აქვთ ისარგებლონ თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი კომპიუტერული ცენტრის მასშტაბური სივრცით, როგორც სასწავლო პროცესში, ისე პირადი განვითარებისა და სასურველი ინფორმაციის მოძიების მიზნით.

სტუ-ს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში და ასევე ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში განთავსებულია სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა, უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები. ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე განთავსებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და პროგრამის „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“ სილაბუსებში გაწერილი სავალდებულო ლიტერატურის ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევასა და კვლევითი/სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ასევე ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი და ლიტერატურის ელექტრონული საძიებო სისტემა, ასევე შესაძლებელია, წვდომა საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებზე.

პროგრამა უზრუნველყოფილია მატერიალურ-ტექნიკური რესურსით. სტუდენტები ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კორპუსის, აუდიტორიების, ლაბორატორიების, ბიბლიოთეკის, კომპიუტერული ცენტრის ფაქტობრივი მდგომარეობა;
- ბიბლიოთეკის წიგნადი და ელექტრონული ფონდი და საბიბლიოთეკო სისტემა: <https://gtu.ge/Library/About-Us/Info.php>;

<ul style="list-style-type: none"> • მონაცემთა ბაზები https://gtu.ge/Library/Databases/; • სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის <ul style="list-style-type: none"> - სასურველია სასწავლო კურსების სილაბუსებში ძირითადი ლიტერატურის შევსება სტუ-ს ბაზაში არსებული დარგობრივი მიმართულების სხვა სახელმძღვანელოებით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება <ul style="list-style-type: none"> o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა <ul style="list-style-type: none"> ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
<p>პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამას „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“ თანდართული აქვს პროგრამული ბიუჯეტი, რომლის მდგრადობას უზრუნველყოფს პროგრამის სტუდენტთა სახელმწიფოს მხრიდან სრული პროგრამული დაფინანსება.</p> <p>პროგრამის ბიუჯეტში გაწერილია ძირითადი სტანდარტული პარამეტრები, რომელიც თავის მხრივ შედის ფაკულტეტის ბიუჯეტში. სავარაუდო ხარჯებისა და შემოსავლების გათვალისწინებით, ფაკულტეტს შემუშავებული აქვს დამოუკიდებელი წლიური ბიუჯეტი, რომელიც დამტკიცებულია სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • სტუ-ს ბიუჯეტი; • სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ბიუჯეტი https://gtu.ge/Stmm/; • პროგრამის ბიუჯეტი. • ინტერვიუ ადმინისტრაციასთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შიდა ხარისხის შეფასება რეგლამენტირებულია აკადემიური საბჭოს 2018 წ. 17 აპრილის №01-05-04/108 დადგენილებით, რომელიც აღწერს იმ პროცედურების სისტემას, რომელთა დახმარებითაც ხორციელდება ხარისხის შიდა შეფასება. აღნიშნული სისტემა ითვალისწინებს შესაბამის საერთაშორისო სტანდარტებში მოცემულ შემდეგ მოთხოვნებს: მომხმარებელზე ორიენტაციას, ხელმძღვანელობის ლიდერობას, თანამშრომელთა ჩართულობას, მუდმივ გაუმჯობესებას, გადაწყვეტილებების მიღებას ფაქტებისა და მონაცემების საფუძველზე და ურთიერთსასარგებლო ურთიერთობას პარტნიორებთან. ამასთან, სტუ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმის სტრუქტურა, ფუნქციონირება და განვითარება, ეფუძნება ISO 9000 სერიის ხარისხის მენეჯმენტის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს და შესაბამისობას ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში „ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში“ მოცემულ სტანდარტებთან, რომლებიც შემდეგ თემებს ეხმიანებიან: 1. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, 2. პროგრამების შემუშავება და დამტკიცება, 3. სტუდენტზე ორიენტირებული

სწავლა, სწავლება და შეფასება, 4. სტუდენტის მიღება, პროგრესია, აღიარება და სერტიფიცირება, 5. მასწავლებლები/ლექტორები, 6. სასწავლო რესურსები და სტუდენტების მხარდაჭერა, 7. ინფორმაციის მენეჯმენტი, 8. საჯარო ინფორმაცია, 9. მიმდინარე მონიტორინგი და პროგრამების პერიოდული შეფასება, 10. ხარისხის პერიოდული გარე უზრუნველყოფა.

პროგრამების შემუშავება და დამტკიცება აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესის მიხედვით ხორციელდება. პროგრამის შემუშავება ხდება სპეციალურად შექმნილი ჯგუფის მიერ, რომელშიც მონაწილეობენ აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი, შესაბამისი დარგის წარმომადგენლები, მენეჯერის სამსახურის წარმომადგენელი და სხვ. გარდა ამისა, პროგრამის დაგეგმვას, შემუშავებას, შეფასებასა და განვითარებაში მონაწილეობას იღებენ სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები.

სტუ-ში დანერგილია სწავლის შედეგების შეფასების სისტემა, რომელიც სტუდენტის ინდივიდუალურ მიღწევებს ასახავს. შეფასების პროცედურების ვადები, შეფასების თითოეული ფორმისა და კომპონენტის ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში და საჭიროების შემთხვევაში, კომპონენტშიც მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და სხვა, ინფორმაცია ხელმისაწვდომია, როგორც შემფასებლებისთვის, ასევე, სტუდენტებისთვის.

პროგრამის შემუშავების პროცესში გამოყენებულია უნივერსიტეტი აპრობირებული პროგრამების შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმი, რომელიც ძირითადად ეყრდნობა სტუდენტთა, აკადემიური პერსონალის, მასწავლებელთა და დამსაქმებელთა გამოკითხვას. პროგრამის პაკეტი მოიცავს გამოკითხვის ბლანკებს და შედეგების დეტალურ ანალიზს, რაც რელევანტურს ხდის პროგრამის მონიტორინგის შედეგებს და იძლევა საშუალებას მისი შემდგომი სრულყოფისათვის. აღნიშნული სრულ შესაბამისობაშია ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ პროგრამის გაუმჯობესებისათვის გატარებულ ღონისძიებებთან.

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომლის საქმიანობას კოორდინირებას უწევს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციაზე წარდგენის მიზნით შექმნილია თვითშეფასების ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში არიან: პროგრამის ხელმძღვანელი; სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დეკანატის წარმომადგენელი, პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი, დამსაქმებლები, პროგრამის კურსდამთავრებული და სტუდენტი. თვითშეფასების ჯგუფის წევრების მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია დასტურდება პროგრამის თვითშეფასების ანგარიშით.

პროგრამის თვითშეფასების ანგარიშს სტანდარტების მიხედვით გაწერილი აქვს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები. მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფი გამოთქვამს მზაობას და წინასწარ აქვს დასახული გზები, საჭიროების შემთხვევაში როგორ შეძლებს პრობლემური საკითხების გადაჭრის.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება პრინციპს: "დაგეგმე – განახორციელე – შეამოწმე – განავითარე". პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში დეტალურად არის გაწერილი ამ პრინციპის შინაარსი და ძირითადი ასპექტები. კერძოდ:

დაგეგმვის მიზნით უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მისიის, მიზნების, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესაბამისად ადგენს დარგის დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული პირების მოთხოვნების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე შემდგომი განსახორციელებელი სამუშაოების კონკრეტულ მიზნებსა და ამოცანებს, რომლის შესაბამისად ახორციელებს ახალი პროგრამების შემუშავებისა და არსებული პროგრამების განვითარების გეგმების დასახვას, შესაბამისი რესურსების, ვადების და მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრას, ხელისშემშლელი ფაქტორებისა და რისკების შეფასებით;

განხორციელების მიზნით ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროგრამის განხორციელების სტადიაზე იყენებს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შემუშავებულ ხარისხის შეფასებისათვის საჭირო ინსტრუმენტებსა და მეთოდებს, რომელიც ეყრდნობა პროგრამების პერიოდული შეფასების, ჩართული მხარეების გამოკითხვის და რეკომენდაციების შედეგებს. ხორციელდება პერიოდული შემოწმება როგორც მეცადინეობის ხარისხის, ისე სასწავლო მასალებისა და მატერიალურ ტექნიკური ბაზის ფაქტობრივი მდგომარეობისა და გაუმჯობესების საჭიროების დადგენის მიზნით. ფაკულტეტის ადმინისტრაცია მონიტორინგს უწევს სტუდენტების აკადემიური მოსწრებას. ყოველწლიურად ტარდება ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების პრეზენტაციები აბიტურიენტთა დაინტერესების, ფაკულტეტის ცნობადობის ამაღლებისა და სტუდენტთა კონტიგენტის მოზიდვის მიზნით. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი პროგრამის განხორციელების ეტაპზე უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის კურიკულუმისგან დამოუკიდებელ აქტივობებში ჩართვას.

შეფასების ეტაპზე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აწარმოებს სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და შემოქმედებითი მუშაობის, აგრეთვე, პერსონალის პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების ხარისხის სისტემატიურ შეფასებას და შედეგების ანალიზს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს სწავლისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისთვის, რეგულარულად აწარმოებს სტუდენტთა კმაყოფილების, კურსდამთავრებულების და პოტენციური დამსაქმებლების მოსაზრებების შესწავლას, ანალიზს და შეფასებას, რომელსაც იყენებს სწავლა-სწავლების პროცესში გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის.

განვითარების ეტაპზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელმძღვანელობს პროგრამის გაუმჯობესების მიზნით მოდიფიცირების პროცესში აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, დამსაქმებლების და კურსდამთავრებულების შეხვედრების შედეგად გამოვლენილი არგუმენტირებული გარემოებებითა და წინადადებებით. ამასთანავე, იგი ახორციელებს უნივერსიტეტის ფარგლებში შემუშავებული რეკომენდაციების საფუძველზე განსაზღვრულ მიმდინარე ან დაგეგმილ ქმედებებს პროგრამის განვითარების მიზნით, რომელიც გადადის ციკლის შემდგომ ეტაპზე – „დაგეგმვა“.

პროგრამაზე თანდართულია გამოკითხვის ბლანკები და მონაცემთა ანალიზის შედეგები, რაც თვითშეფასების ჯგუფს დაეხმარება პროგრამის შემდგომ განვითარებასა და სრულყოფაში. სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა რიგი საკითხები, რომლებითაც მათ მიმართეს თვითშეფასების ჯგუფს და რომელიც გათვალისწინებულია პროგრამის სასწავლო გეგმის შედგენის დროს.

გასაუბრების დროს გამოიკვეთა ასევე სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მჭიდრო თანამშრომლობა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, რომლის საქმიანობაც რეგულირდება „უმაღლესი განთლების შესახებ“ საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებით და სამსახურის დებულებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუები ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან;
- საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი;
- სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;
- ინტერვიუ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან;
- განხორციელებული შეფასების შედეგების ანალიზი;
- სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა /დამსაქმებელთა/ პერსონალის გამოკითხვის ფორმები, გამოკითხვის შედეგები;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების გარე მექანიზმები ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 65/ნ ბრძანებას „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ და განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 99/ნ ბრძანებას „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ .</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 24 სექტემბერს 1 424 გადაწყვეტილებით საგანმანათლებლო პროგრამას „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“ მინიჭებული აქვს აკრედიტაცია.</p> <p>ასევე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 1 ოქტომბრის №76 გადაწყვეტილებით სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს მიენიჭა ავტორიზაცია.</p> <p>პროგრამის შინაარსობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შეფასების მიზნით პროგრამას გავლილი აქვს გარე ექსპერტიზა მაპროფილებელი დარგის აკადემიური დოქტორის მიერ და მიღებული აქვს დადებითი დასკვნა.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“; • პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • ინტერვიუ სტუ–ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან; • ინტერვიუ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან.
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება</p>
<p>პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება გამოიყენება საგანმანათლებლო</p>

პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგს და პერიოდული შეფასების ორგანიზებას ახდენს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით. პროგრამის თვითშეფასების ანგარიშით და სტუდენტთა და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგად დადსტურდა, რომ სტუ–ში საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება ასევე ხორციელდება კითხვარების საშუალებით. პროგრამის მონიტორინგის ინდიკატორებთან დაკავშირებულ ინფორმაციას აგროვებს უნივერსიტეტის და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები ფაკულტეტებისა და უნივერსიტეტის შესაბამისი კომპეტენციის ადმინისტრაციულ სტრუქტურებთან თანამშრომლობით. აღნიშნულ პროცესს კოორდინირებას უწევს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დაგეგმვის, შემუშავების შეფასების და განვითარების წესი და მისი განხორციელების მექანიზმი, აღნიშნული გამოყენებულია სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად. კერძოდ: პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასების დამადასტურებელი დოკუმენტაცია თან ახლავს პროგრამის პაკეტს, რომელიც შედეგენილია აკადემიური, მოწვეული პერსონალის, სტუდენტების და კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგად. აქვეა ინფორმაციის დამუშავებისა და ანალიზის შედეგები, რომელიც როგორც პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით დასტურდება, გამოყენებულ იქნა პროგრამის გასაუმჯობესებლად, მოდიფიცირების პროცესის დროს.

ასევე პროგრამის ხელმძღვანელთან და პერსონალთან გასაუბრებით დასტურდება, რომ პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების მიზნით პერიოდულად ტარდება სამუშაო შეხვედრები პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან, პერიოდულად ტარდება სტუდენტთა გამოკითხვები სასწავლო კურსების და ლექტორების შეფასების მიზნით, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებლის გამოკითხვები. სასწავლო პროცესის დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით, სასწავლო კურსის დასრულების შემდგომ სტუდენტები აფასებენ (კითხვარების მეშვეობით ან სხვა ფორმით) აღნიშნულ კურსს.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი ადასტურებს, რომ პროგრამის სააკრედიტაციოდ მომზადების პროცესში შეაფასა სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიის პროგრამის განხორციელება „სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესის“ მიხედვით. პროგრამის რაოდენობრივი მაჩვენებლების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია თვითშეფასების ანგარიშში. პროგრამის შეფასება შესრულებულია რაოდენობრივი ანალიზის და თვისებრივი ინდიკატორების ურთიერთმეჯერების საფუძველზე.

ამდენად, უნივერსიტეტში ფუნქციონირებს საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგისა და შეფასების მწყობრი სისტემა, რომელშიც ჩართულია აკადემიური პერსონალი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „სამრეწველო ინჟინერია და

<p>ტექნოლოგია“;</p> <ul style="list-style-type: none"> • პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი; • სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები; • ინტერვიუ სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან; • ინტერვიუ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p>√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
 სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:
 „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“
 საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 40

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე:



ქეთევან კინწურაშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ი:

მაია გრძელიძე



სოფიკო შარაბიძე